სახელმწიფო ვალი – I–III კვარტალი, 2015

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

Delivering Progress

გამოცემა #60 / 20.11.2015

2015 წლის პირველი სამი კვარტლის მდგომარეობით, 2014 წლის მაჩვენებელთან შედარებით, საგარეო ვალი აშშ დოლარში შემცირებულია (-0.1%), თუმცა ვალუტის კურსის ცვლილების გამო აღნიშნული მაჩვენებელი ლარში გაზრდილია (27.7%), შედეგად გაზრდილია მთლიანი სახელმწიფო ვალიც (25.5%). 2014 წელთან შედარებით, გაიზარდა საშინაო ვალის მოცულობაც (16.5%).

აღნიშნულ პერიოდში, მთავრობის უმსხვილეს მრავალმხრივ კრედიტორთა სამეულია: განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA) - 41.7%, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD) - 20.9% და აზიის განვითარების ბანკი (ADB) - 16.4%. უმსხვილეს ორმხრივ კრედიტორთა სამეულია: გერმანია (38.1%), იაპონია (22.2%) და რუსეთი (12.3%).

სახელმწიფო ვალის დინამიკა და ზრდის ტემპი, 2012–15



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საერთაშორისო სავალუტო ფონდი

ფისკალური მდგრადობის განსაზღვრისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ზღვრული პარამეტრია სახელმწიფო ვალის მაჩვენებელი პროცენტულად მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ). საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მიერ დადგენილი აღნიშნული პარამეტრის მდგრადობის ზღვარი განვითარებადი ქვეყნებისთვის 50%-ია.

2015 წლის პირველი სამი კვარტლის მდგომარეობით, სახელმწიფო ვალი პროცენტულად მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებლის მიმართ 38.7%-ს უტოლდება. აღნიშნული მაჩვენებელი 2014 წელთან შედარებით 5.4%-ით არის გაზრდილი, თუმცა სსფ-ის მიერ დადგენილ ზღვარს (50%) ჩამოუვარდება.

2015 წლის პირველ სამ კვარტალში, 2014 წელთან შედარებით, 7.4% პუნქტით არის გაზრდილი საგარეო ვალი პროცენტულად მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებელთან, რაც აღნიშნულ პერიოდში საგარეო ვალის მაჩვენებლის (ლარში) ზრდით აიხსნება.

სახელმწიფო ვალი პროცენტულად ბიუჯეტის შემოსავლებთან, 2009–15



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საერთაშორისო სავალუტო ფონდი

2015 წლის პირველი სამი კვარტლის მდგომარეობით, სახელმწიფო ვალის მოცულობა გაზრდილია 2 478 მლნ. ლარით (25.5%) 2014 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

ამ პერიოდში, სახელმწიფო ვალის 81.9%-ს საგარეო ვალი წარმოადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი 1.4% პუნქტით აღემატება 2014 წლის მაჩვენებელს. საგარეო ვალის მოცულობა ლარში 27.7%-ით არის გაზრდილი. ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა ძირითადად გაცვლითი კურსის ეფექტით არის გამოწვეული, რადგან შესაბამის პერიოდში საგარეო ვალი დოლარში შემცირებულია (-0.1%).

2015 წლის პირველი სამი კვარტლის მდგომარეობით, საშინაო ვალის წილი სახელმწიფო ვალში 18.1%-ს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საშინაო ვალის მოცულობა აღნიშნულ პერიოდში 16.5%-ით არის გაზრდილი 2014 წელთან შედარებით, მისი წილი სახელმწიფო ვალში 1.4% პუნქტით არის შემცირებული, რაც აიხსნება იმით, რომ გაცვლითი კურსის ეფექტის გამო საგარეო ვალის მაჩვენებელი უფრო მეტად გაიზარდა.

სახელმწიფო ვალი პროცენტულად ნომინალურ მშპ-სთან, 2009–15



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საერთაშორისო სავალუტო ფონდი

ასევე მნიშვნელოვანი პარამეტრია სახელმწიფო ვალი პროცენტულად ბიუჯეტის შემოსავლებთან, რომლის მდგრადობის ზღვარი განსაზღვრულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მიერ და განვითარებადი ქვეყნებისთვის 300%-ს უტოლდება.

2015 წლის პირველი სამი კვარტლის მდგომარეობით, სახელმწიფო ვალის მაჩვენებელი ბიუჯეტის შემოსავლების მიმართ 202.5%-ია, რაც 2014 წელთან შედარებით მნიშვნელოვნადაა გაზრდილი (71.7% პუნქტი), თუმცა სსფ-ის მიერ დადგენილ ფისკალური მდგრადობის ზღვარს (300%) ჩამოუვარდება.

აღნიშნულ პერიოდში, გაზრდილია (60.5% პუნქტი) ასევე საგარეო ვალი პროცენტულად ბიუჯეტის შემოსავლებთან და 165.8%-ს შეადგენს.

ფისკალური მდგრადობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ზღვრული პარამეტრია სახელმწიფო ვალი პროცენტულად ექსპორტთან. სსფ-ის მიერ განვითარებადი ქვეყნებისათვის დადგენილი ამ მაჩვენებლის ფისკალური მდგრადობის ზღვარი 200%-ია.

2015 წლის პირველი სამი კვარტლის მდგომარეობით, სახელმწიფო ვალი ექსპორტის მიმართ 310.0%, ხოლო საგარეო ვალი ექსპორტის მიმართ 253.9%-ია, რაც აღემატება სსფ-ის მიერ დადგენილ ზღვარს (200%).

2009-13 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი მცირდებოდა, თუმცა სსფ-ის მიერ ამ პარამეტრისთვის დადგენილ ფისკალური მდგრადობის ზღვარს მაინც აჭარბებდა გარდა 2013 (173.4%) და 2014 (180.3%) წლებისა.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საერთაშორისო სავალუტო ფონდი





წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საერთაშორისო სავალუტო ფონდი

2015 წლის პირველი სამი კვარტლის მდგომარეობით, სახელმწიფო ვალის მომსახურება ექსპორტის მიმართ 14.7%-ს უტოლდება, რაც არ აღემატება სსფ-ის მიერ ამ მაჩვენებლისთვის დადგენილ 25%-იან მდგრადობის ზღვარს.

2009-14 წლებში წლიურმა მაჩვენებელმა მდგრადობის ზღვარს მხოლოდ ერთხელ 2009 წელს გადააჭარბა (2.1% პუნქტი) და 27.1%-ს გაუტოლდა, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი 2012 წელს (9.8%) დაფიქსირდა.

2015 წლის პირველი სამი კვარტლის მდგომარეობით, სახელმწიფო ვალის მომსახურება ბიუჯეტის შემოსავლებთან 9.6%-ს შეადგენს, ამ პერიოდში, აღნიშნული მაჩვენებელი არ აღემატება სსფ-ის მიერ დადგენილ მდგრადობის ზღვარს (35%).

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2012	2013	I 2014	II 2014	III 2014	IV 2014	2014	I 2015	II 2015
ნომინალური მშპ (მლნ. დოლარი)	15846.8	16139.9	3605.3*	4064.1*	4320.4*	4527.8*	16528.5*	3298.9*	3406.5*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (დოლარი)	3523.4	3599.6	802.9*	905.0*	962.1*	1 008,3*	3680.8*	884.5*	913.4*
მშპ-ს რეალური ზრდა	6.4%	3.3%	7.2%*	5.2%*	5.6%*	1.8%*	4.8%*	3.2%*	2.5*
სამომხმარებლო ფასების ინდექსი (საშუალო წლიური)	99.1	99.5					103.1		
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. დოლარი)	911.6	941.9	309.5	196.2	726.0	526.7	1 758.4	175.3*	354.7*
უმუშევრობის დონე	15%	14.6%					12.4%		
საგარეო ვალი (მლნ.დოლარი)	4739	4202	4145	4082	4074		4200	3989	4181
სიღარიბის დონე (რეგისტრირებული)	9.7%	9.7%					11.6%		

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროგნოზო*